KA030107540844918

**№ 01-684** **12 / იანვარი / 2018 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

თქვენი 2017 წლის 5 იანვრის № 01-195 წერილის პასუხად, რომელიც ეხება „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ სამთავრობო პროგრამის 2017 წლის შესრულების ანგარიშისა და სამომავლო გეგმების თაობაზე ინფორმაციის წარდგენას, გაცნობებთ, რომ 2018 წელს კვლავ გაგრძელდება „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 02 აგვისტოს №199 დადგენილებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება და ,,დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამით“ და „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამით“ გაწერილი ღონისძიებები.

გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ 2018 წლის ბოლოს იწურება „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის“ ვადა, დაგეგმილია შრომისა და დასაქმების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება და გაგრძელდება დასაქმების მიმართულებით საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების პროცესი.

პატივისცემით,

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ელზა ჯგერენაია